შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოდის 1937 წლიდან

№29 (9.545)

10 აგვისტო 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

„თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა"...

საქართველოში რუსეთის აგრესიიდან ოთხი წლისთავი დედოფლისწყაროშიც აღნიშნეს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და მოსახლეობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალთან შეიკრიბა. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს მემორიალი. აქ შეკრებილმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა აგვისტოს ტრაგედია და ხუთდღიან ომში დაღუპულები. ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე მელქისედეკმა მათი სულების მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა. 8 აგვისტოს მემორიალთან მოვიდა აგვისტოს ომის გმირის— გიორგი აბიათარის დედა. მეუფე მელქისედეკმა მას პირადად მიუსამძიმრა.

„აგვისტოს ომი ჩვენი დიდი ტკივილია. ბევრი ჩვენგანი მისი თანამონაწილეცაა, ამიტომ ამ ომში დაღუპული გმირების ხსოვნის უკვდავყოფა ჩვენს უპირველეს მოვალეობად მიგვაჩნია"—აღნიშნეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა.

8 აგვისტოს საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა—გიორგი აბიათარის, გოჩა ილურიძის და თეიმურაზ ბერიძის ოჯახებს დედოფლისწყაროს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა 1000—1000 ლარი გადასცეს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, უკვე მეოთხე წელია, რაც მსგავს აქციას ახორციელებს.

საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, 7და 8 აგვისტოს სახელმწიფო დროშები დაუშვეს დედოფლისწყაროშიც. „საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების თანახმად, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნის პატივისცემის ნიშნად, 7 და 8 აგვისტოს, მთელი საქართველოს მასშტაბით, დაეშვება სახელმწიფო დროშები", - ნათქვამი იყო პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადებაში.

კინოთეატრიდან-სპორტდარბაზამდე

[დედოფლისწყაროს კინოთეატრის შენობა, რომელიც 1970-იან წლებში აშენდა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში. კაპიტალური რემონტი მას 1982 წელს ჩაუტარდა და 380 მაყურებელს იტევდა, თუმცა, რამდენიმეწლიანი უყურადღებობისა და განუკითხაობის წყალობით მან არა მარტო ფუნქცია, არამედ იერ-სახეც დაკარგა.]

თხუთმეტწლიანი განუკითხაობისა და ნგრევის შემდეგ დედოფლისწყაროს კინოთეატრის შენობის ბედი უკვე გარკვეულია. გაძარცვული შენობა, რომელში შესაღწევადაც ბოლო დროს კარიც აღარ იყო საჭირო, მალე ახალ ფუნქციას შეიძენს და „ახალი სუნთქვა" გაეხსნება.

ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში მდებარე კინოთეატრის შენობა, დიდი ხანია, ფუნქციადაკარგული იყო. თვითმხილველთა თქმით, დანგრევის პირას მისული შენობა საეჭვო რეპუტაციის ხალხის თავშეყრის ადგილად იყო ქცეული—ამაზე მეტყველებდა ის ქაოსი და სიბინძურე, რომელიც კინოთეატრის შენობაში შესვლისას ნებისმიერ ადამიანს მოხვდებოდა თვალში. არადა, დედოფლისწყაროს კინოთეატრის შენობა, რომელიც 1970-იან წლებში აშენდა, ერთ-ერთი საუკეთესო იყო საქართველოში. კაპიტალური რემონტი მას 1982 წელს ჩაუტარდა და 380 მაყურებელს იტევდა, თუმცა, რამდენიმეწლიანი უყურადღებობისა და განუკითხაობის წყალობით მან არა მარტო ფუნქცია, არამედ იერ-სახეც დაკარგა. შენობის ამ მდგომარეობამდე მიყვანის მთავარ მიზეზად კინოთეატრის რეალური მეპატრონის კინოსტუდია „ქართული ფილმის" ხელმძღვანელობის, და არა მარტო მათი, გულგრილობა და უსუსურობა სახელდებოდა.

„დაუფინანსებლობის გამო სახურავის გამოცვლა ვერანაირად ვერ მოხერხდა, შენობის გვერდითი კედელი მიწისძვრის შედეგად კიდევ უფრო გაირღვა. შემდეგ ქურდებიც შევიდნენ შიგნით, დაამტვრიეს აპარატურა და ჯართში ჩააბარეს. პოლიციის მცდელობის მიუხედავად, მოპარულ აპარატურას ვერსად მივაკვლიეთ"—შენობის გადარჩენის ცხრანწლიანი ეპოპეის შესახებ საუბრობდა გაზეთ „შირაქთან" 2005წელს მისი მაშინდელი მფლობელი ნუგზარ ლაპიაშვილი.

დედოფლისწყაროში „კინოინდუსტრია", რომელიც კინოფილმების დაქირავებაში და ჩვენებაში გამოიხატებოდა, წამგებიანი აღმოჩნდა, მაყურებლისა და კინოს გარეშე დარჩენილი შენობის დაპატრონების მსურველები მრავლად იყვნენ, თუმცა მისი საბოლოო მფლობელობაში გადასვლის გარეშე, კინოთეატრზე მზრუნველობის სურვილი ყველას უმალ უქრებოდა.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ადგილობრივი ხელისუფლება დანგრევის პირას მისული შენობის გადარჩენის გზებს ეძებს. თავდაპირველად, იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტს ქონება დაებრუნებინა, სამართლებრივი საკითხების მოგვარება იყო საჭირო, კერძოდ, კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექციასთან არსებული დოკუმენტაციის შესწავლა და ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემის საკითხი. როგორც იქნა, მოგვარდა შენობის გაყიდვის საკითხი და ის კერძო ბიზნესმენმა შეიძინა, მოგვიანებით კი, ზუსტად იმავე ფასში მიჰყიდა მუნიციპალიტეტს. უკვე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები,რომელსაც შპს „კალციტი"(დირექტორი ვახტანგ კიკილაშვილი) ანარმოებს. სამუშაოების დასრულების შემდეგ დედოფლისწყაროს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტდარბაზი ექნება.

„აქ ფუნქციონირებას დაიწყებს თანამედროვე ტიპის სპორტდარბაზი, რომელსაც სავარჯიშოდ გამოიყენებენ როგორც დედოფლისწყაროში არსებული სპორტული გუნდები, ასევე რიგითი დედოფლისწყაროელებიც"—განაცხადა ჩვენთან საუბრისას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა.

ინგა შიოლაშვილი

ბავშვები სპორტულ მოედანს ითხოვენ!

გვ. 3

ვაშლოვანის პარკში ჯეირანი დაიბადა

გვ. 2

ყურადღება,სიახლე!

ქალაქ დედოფლისწყაროში, ნიკორციხის ქუჩაზე, ყოფილი ყველმრეწვის შენობაში, ფუნქციონირება დაიწყო საქონლის სასაკლაომ. მსურველები დაგვიკავშირდით:

579 632007;

571 199881

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

81 პრობაციონერს პირობითი მსჯავრი გაუუქმეს

აღნიშნული გადაწყვეტილება 9 აგვისტოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიამ მიიღო.

დღევანდელ სხდომაზე კომისიის წევრებმა იმ მსჯავრდებულთა განცხადებები განიხილეს, რომელთაც გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევარი აქვთ მოხდილი.

კომისიის შემადგენლობაში შედიან: სამინისტროს ცენტრალური აპარატის, პრობაციის ეროვნული სააგენტოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა კომისიის სხდომა თვეში ერთხელ იმართება და ხუთწევრიანი კომისია პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლეობის მოხსნის საკითხს სასამართლო რგოლის გარეშე წყვეტს.

აღნიშნული სიახლე პრობაციის ეროვნულ სააგენტოში დანერგილი ინდივიდუალური მიდგომის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა.

კახეთის განვითარების სტრატეგიას ამუშავებენ

კახეთის რეგიონის განვითარების 2012-2017 წლების სტრატეგიის შემუშავება დაიწყო. ეფექტური რეგიონული მმართველობის შენარჩუნების მიზნით, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მიერ სათათბირო ორგანო რეგიონული განვითარების საბჭო შეიქმნა. საბჭოს ძირითადი ამოცანა კახეთის რეგიონის 2012-2017 წლების განვითარების სტრატეგიის შემუშავებაა.

სტრატეგიაზე მუშაობისას სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (GIZ) თანამშრომლობს. სწორედ მათი მხარდაჭერით ჩამოყალიბდა ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც რეგიონული განვითარების სტრატეგიის შექმნაზე მუშაობს.

სტრატეგია პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს წარმოადგენს. დოკუმენტი არსებულ ვითარებასა და იმ მექანიზმებს ასახავს, რომელთა მეშვეობითაც რეგიონის განვითარების პოტენციალის ხელშეწყობა ხდება.

სტრატეგიის შემუშავება მიზნად ისახავს წინადადებების შეთავაზებას შემდეგი შედეგების მისაღწევად:

1. *რეგიონში არსებული ბუნებრივი,მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება;*
2. *ინვესტიციების წახალისება;*
3. *ცალკეულ რეგიონში შექმნილი რთული მდგომარეობის დაძლევა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;*
4. *სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება;*
5. *გარემოსა და ეკლოგიური ბალანსის დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება.*

კახეთის რეგიონული განვითარების პირველი სტრატეგია გაეროს განვითარების პროგრამისა და რუმინეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა და 2009-2014 წლებს მოიცავს.

პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა და ჩართულობაა. შესაბამისად, კახეთის სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის, თქვენი პროფესიული ხედვის გაზიარება ძალიან მნიშვნელოვანია.

3 აგვისტოს, თელავის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა პირველი საინფორმაციო შეხვედრა, რომელზეც დეტალურად იქნა წარდგენილი სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა.

სურსათის სააგენტომ აცრების პირველი ეტაპი შეაჯამა

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა დავით კობერიძემ აცრების ჩატარების პირველი ეტაპის შედეგები შეაჯამა.

მისი ინფორმაციით, 1 აგვისტოდან სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადების - თურქულის პროფილაქტიკური ვაქცინაცია დაიწყო. მთელი ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილია 922,330 სული მსხვილფეხა პირუტყვის აცრა. ამ ეტაპზე აცრილია 58,066 სული ცხოველი.

პროფილაქტიკური ღონისძიება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უფასო ვაქცინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 1 სექტემბრიდან დაიწყება ადამიანისა და ცხოველის საერთო, განსაკუთრებით საშიში დაავადების - ჯილეხის პროფილაქტიკური ვაქცინაცია დაავადების ისტორიულად დაფიქსირებულ კერებში.

ვაქცინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმდება 672 კერძო ვეტერინარი.

ვაქცინაციის თანამდევი პროცესია ცხოველთა იდენტიფიკაცია. საქონელს ყურზე უკეთდება სპეციალური სანომრე ნიშანი (საყურე) და ენიჭება უნიკალური ნომერი. აცრების დასრულების შემდეგ ვაქცინირებული ცხოველის შესახებ ზუსტი მონაცემები სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში აისახება.

ცხოველი იცრება მაღალი ხარისხის ფრანგული წარმოების ვაქცინით, რომელიც უსაფრთხოა ცხოველის ჯანმრთელობისთვის. ასევე უსაფრთხოა ცხოველისგან წარმოებული პროდუქციაც (რძე, ხორცი)

ფერმერთა ცენტრის ტექნიკით დედოფლისწყაროში 2 333 ჰა დამუშავდა

ივლისის თვის მონაცემებით ფერმერთა მომსახურების ცენტრში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ქვეყნის მასშტაბით აგროტექნიკური სამუშაოები 7438,5 ჰა მიწის ფართობზე შესრულდა. აბაშა 242 ჰა, ზესტაფონი — 159,4 ჰა, სამტრედია — 103 ჰა, გურჯაანი — 1499 ჰა, დედოფლისწყარო — 2 333 ჰა, კასპი — 1025 ჰა, ამბროლაური — 5,1 ჰა, ახალციხე — 37 ჰა, ბოლნისი — 506 ჰა, მარნეული — 754 ჰა, ქარელი — 775 ჰა.

ივლისის თვეში „აგრეო გეო+"ის მაღაზიების მომსახურებით 1486 ადგილობრივმა მცირე და საშუალო ფერმერმა ისარგებლა. ზესტაფონი-257, სამტრედია — 143, აბაშა — 78, ოზურგეთი — 320, კასპი — 170, ქარელი -68, გურჯაანი — 129, დედოფლისწყარო – 6, ამბროლაური — 315.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესცენტრში ქიზიყი.ჯი-ს განუცხადეს მათი მხარდაჭერით საქართველოს 12 რეგიონში გახსნილი ფერმერთა მომსახურების ცენტრები წარმატებით ფუნქციონირებს. 6 რეგიონში არსებულ მომსახურების ცენტრში ამოქმედდა ექსტენციის ცენტრები, სადაც მოსახლეობას შეუძლია მიიღოს კვალიფიციური აგრონომის, ვეტერინარის კონსულტაცია და სხვადასხვა ლაბორატორიული მომსახურება.

ადგილზე გახსნილია „აგრო გეო+"-ის მაღაზიებიც, სადაც შესაძლებელია ხარისხიანი სასუქისა და შხამ-ქიმიკატების შეძენა.

დედოფლისწყაროში ნუშის პლანტაცია გაშენდება

დედოფლისწყაროში ნუშის პლანტაციების გაშენება დაიწყო. როგორც რაიონის საკრებულოში აცხადებენ, პირველ მოსავალს ნუში 3 წელიწადში მოიტანს, ხოლო რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე მოხდება.

მათივე განმარტებით, ნუშის საბაზრო ღირებულება 15-25 ლარამდე მერყეობს და პლანტაციების გაშენება დედოფლისწყაროს სხვადასხვა სოფლებშიც დაიწყება. როგორც საკრებულოში აცხადებენ, ქართულ ბაზარზე ნუში ძალიან მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი და პლანტაციების გაშენების შემდეგ ეს დეფიციტი შეივსება.

საკრებულოს განცხადებითვე, კახეთში ნუშის პლანტაციების გაშენებას მათ გარდა სოფლის მეურნეობის კორპორაციაც გეგმავს, რომელიც 5 ჯიშის ნუშს 5 ჰექტარ ტერიტორიაზე გააშენებს. ნუშის სადემონსტრაციო ბაღთან ერთად სანერგე სისტემის მოწყობაც იგეგმება.

დედოფლისწყაროში სადემონსტრაციო ბაღის გაშენებას გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია აფინანსებს.

ვაშლოვანის პარკში ჯეირანი დაიბადა

დედოფლისწყაროს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ვაშლოვანის ეროვნულ პარკს ახალი ბინადარი ჰყავს. როგორც გაზეთ „შირაქს" გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პრესცენტრიდან აცნობეს, დაცულ ტერიტორიაში პატარა ჯეირანი დაიბადა. ახალშობილი ჯეირანი მამრობითი სქესისაა.

სამინისტროს ცნობით, „ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ჯეირნის რეინტროდუქციის პროექტი" 2009 წლიდან ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და თურქეთის გარემოს დაცვისა და სატყეო სამინისტროს ხელშეწყობით.

პროექტი საქართველოში გასულ საუკუნეში გადაშენებული სახეობის - ჯეირნის პოპულაციის ვაშლოვანის ეროვნულ პარკში აღდგენას და კონსერვაციას ისახავს მიზნად.

გამოცდების შედეგები ოთხმა დედოფლისწყაროელმა აბიტურიენტმა გაასაჩივრა

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები დედოფლისწყაროდან ოთხმა აბიტურიენტმა გაასაჩივრა. ინფორმაცია გაზეთ „შირაქს" განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დაუდასტურეს.

შედეგებით უკმაყოფილო ოთხმა აბიტურიენტმა სააპელაციო განაცხადი დედოფლისწყაროს რესურს-ცენტრში შეიტანა.

საერთო ჯამში, გამოცდების შდეგები კახეთის რეგიონში 80-მდე გაასაჩივრა. მედიის ცნობით, ყველაზე მეტი საპრეტენზიო განაცხადი (23—23) გურჯაანისა და თელავის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებმა მიიღეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს ინფორმაციით, ერთი გამოცდის შედეგის გასაჩივრების საფასურია 50 ლარი. პირებს, რომლებსაც აპელაციის შედეგად შეფასება შეეცვლებათ, გადახდილი თანხა უკან დაუბრუნდებათ. ამისათვის, მათ განცხადებით უნდა მიმართონ გამოცდების ეროვნულ ცენტრს საბოლოო შედეგების (ჩარიცხვების) გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.

აბიტურიენტთა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეთა საპრეტენზიო განაცხადების მიღება 3 აგვისტოდან 8 აგვისტომდე მიმდინარეობდა.

ყვარლის რესურს-ცენტრში 9 სააპელაციო განაცხადი შევიდა, ლაგოდეხის რესურს-ცენტრში — 8, საგარეჯოს რესურს-ცენტრში — 4, სიღნაღის რესურს-ცენტრში — 7, დედოფლისწყაროს რესურს-ცენტრში 4. ახმეტის რესურს-ცენტრის უფროსმა ინფორმაცია არ გასცა.

„აირაი"-ს დამკვირვებლები დედოფლისწყაროში

IRI-ის დამკვირვებლები ოპოზიციის პრობლემების შესასწავლად კახეთის რეგიონს ეწვივნენ. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის IRI-ის წარმომადგენლები 5 აგვისტოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსაც სტუმრობდნენ. ისინი ოპოზიციური პარტიების ადგილობრივ შტაბებს ეწვივნენ და რაიონული ორგანიზაციების ლიდერებს გაესაუბრნენ.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი დაინტერესდა რა პრობლემებს აწყდებიან დედოფლისწყაროში მოქმედი ოპოზიციური პარტიები ოფისების დაქირავებასთან დაკავშირებით, თუ თავისუფლად მოქმედების დროს. ახდენენ თუ არა რაიმე სახის ზეწოლას სხვადასხვა საჯარო მოხელეები ოპოზიციის აქტივისტებზე.

„მათ დეტალურად ჩავაწერინეთ საბათლოში ჩვენი აქტივისტის ცემის ფაქტი, სოფელ სამთაწყაროში მრავალშვილიან ოჯახს ჩვენს წევრებს სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფთა დახმარება მას შემდეგ შეუწყვიტეს, რაც ამ ოჯახში ჩვენი პარტიის ლიდერი კახა კუკავა იმყოფებოდა. ასევე, ზემო ქედისა და არხილოსკალოს კოორდინატორებს „რეალ-ტივის" წარმომადგენლები და აქტივისტები სურათებს უღებდნენ, რუსეთის ფულზე გაყიდულებს ეძახდნენ და ხელმოწერების შეგროვებაში ხელს უშლიდნენ. იყო სხვა ფაქტებიც... IRI-ის წარმომადგენლებმა შემოგვთავაზეს, მომავალში აქტიურად ვითანამშრომლოთ მათთან და ნებისმიერი დარღვევისა თუ აქტივობის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობოთ," — განაცხადეს პარტია „თავისუფალი საქართველოს" დედოფლისწყაროს ორგანიზაციაში.

IRI-ის წარმომადგენლები სიღნაღში, თელავში, საგარეჯოსა და გურჯაანშიც იმყოფებოდნენ და უახლოეს დღეებში დანარჩენი რაიონების ვითარების გაცნობასაც ადგილზე გეგმავენ.

ილია მარტყოფლიშვილი

ირანში გამგზავრების მსურველთათვის უვიზო რეჟიმი დროებით შეჩერდება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გამგზავრების მსურველი ორდინალური პასპორტების მფლობელი საქართველოს მოქალაქეებისათვის, უვიზო რეჟიმი, 2012 წლის 5 აგვისტოდან 2012 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, დროებით შეჩერდება.

სამინისტროს ცნობით, შეზღუდვა უკავშირდება ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მიუმხრობლობის მოძრაობის წევრი ქვეყნების მეთაურთა მე-16 სამიტის ჩატარებისა და უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღებას.

აღნიშნულ პერიოდში ირანის ისლამურ რესპუბლიკაში გამგზავრების მსურველმა საქართველოს მოქალაქეებმა ვიზის მისაღებად უნდა მიმართონ საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს. ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ანუ 2012 წლის 1 სექტემბრიდან, კვლავ ამოქმედდება „საქართველოს მთავრობასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობას შორის ორდინალური პასპორტების მფლობელთათვის ვიზების ორმხრივად გაუქმების შესახებ" შეთანხმებით გათვალისწინებული რეჟიმი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №32

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გამოსაკრავად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:
   ა) კულტ-სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;
   ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;
   გ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა. აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი;
   დ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე - სამი მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებული კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ-მოწყობილობებთან არაუმეტეს ერთი მეტრის სიახლოვისა.
2. აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მის: კოსტავას ქ.№ 44), სასამართლოს (მის: ჰ. გონაშვილის ქ.№ 2), პოლიციის (მის: რუსთაველის ქ.), ასევე თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოს შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მომედების ვადა განისაზღვროს არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ბაღაშვილი**

უფასო საეთერო სარეკლამო დროით ექვსი პარტია ისარგებლებს

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იმ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების ჩამონათვალი გამოაქვეყნა, რომლებიც საარჩევნო კოდექსის თანახმად, უფასო საეთერო სარეკლამო დროით ისარგებლებენ.

ეს პარტიები არიან: „საქართველოს ლეიბორისტული პარტია,“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ერთიანი საქართველო-კონსერვატიული მოძრაობა“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „ახალი მემარჯვენეები“, „რესპუბლიკური პარტია“ და „გადავარჩინოთ საქართველო“.

ცესკო—ს განმარტებით, ეს პარტიები საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე- 4 პუნქტით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ: დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში და მიიღეს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%; დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში და მიიღეს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 3% ქვეყნის მასშტაბით; გაერთიანებული იყვნენ საარჩევნო ბლოკში, რომელმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4% და იყო ამ ბლოკის პირველი ნომერი; გაერთიანებული იყვნენ საარჩევნო ბლოკში, რომელმაც ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 3% და იყო ამ ბლოკის პირველი ნომერი.

პრეზიდენტის ბრძანებულებით, წელს საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბერს არის დანიშნული.

ბავშვები სპორტულ მოედანს ითხოვენ!

რედაქციას 9 აპრილის, ერეკლე მეორის და თამარის ქუჩებზე მაცხოვრებელმა 15 წლამდე ასაკის ბიჭუნებმა მომართეს, ისინი ჩვენგან ხელმძღვანელობასთან მედიატორის როლის შესრულებას მოითხოვდნენ. ბავშვებს ძალიან უნდათ, რომ ამ სამი უბნის სიახლოვეს მინი საფეხბურთო მოედანი იყოს.-,,აქ ცოტანი მოვედით, სინამდვილეში იმდენნი ვართ,რომ ფეხბურთს თავისუფლად ვთამაშობთ. ფეხბურთის თამაშის მოთხოვნილება კი ყოველდღე გვაქვს. სათამაშო მოედანი ახლოს არ გვაქვს, ამიტომ გზაზე გვიწევს თამაში, კარების მაგივრობას ქუჩის მაცხოვრებლების ღობეები გვიწევენ, ძლიერი დარტყმისას ღობეებს ვანგრევთ, რაც არავის სიამოვნებს და ხშირად გვეჩხუბებიან, ხან საიდან გაგვყრიან, ხან საიდან, ჩვენ კი წასასვლელი არსად გვაქვს. მართალია, რაიონში არაერთი მინი- მოედანია, მაგრამ ისინი ჩვენგან ისე შორსაა, რომ ხშირად დედები არ გვიშვებენ სხვადასხვა მიზეზით: ცივა და გაცივდებიო, წვიმა მოგისწრებს და დასველდებიო, ან ღამდება და აქ უნდა იყოო. უნდათ, რომ ცუდს არაფერს გადავეყაროთ და მათ თვალწინ ვითამაშობდეთ, ერთის თუ გაგვიშვებს მშობელი, მეორეს არა, და ასე ვიტანჯებით. გვინდა, თქვენი საშუალებით ვთხოვოთ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, იქნებ დაგვეხმარნენ და მინი საფეხბურთო მოედანი გაგვიკეთონ.მით უმეტეს, რომ თქვენს გაზეთში ამოვიკითხეთ, რაიონის ბიუჯეტი გაორმაგდაო, იქნებ მცირედი თანხა ამისთვისაც გამოყონ. რაიონის გამგეობაში ვერ გავბედეთ მისვლა და თქვენ მოგაკითხეთ, ბიჭებს რამდენიმე ადგილი გვაქვს შერჩეული, შეიძლება, რომ იქ მინი მოსწორდეს და გაკეთდეს მოედანი. უმორჩილესად ვთხოვთ, იქნებ ვინმე მათი წარმომადგენელი მოვიდეს და შეგვხვდეს! გთხოვთ, დაწეროთ ჩვენს შესახებ გაზეთში, ველით გამოხმაურებას,“- ამბობენ მოზარდები.

ჩვენი გაზეთი გვერდს ვერ აუვლიდა მომავალი თაობის პრობლემას, უფრო მეტიც, ვალდებულნი გავხდით გულთან ახლოს მიგვეტანა მათი გასაჭირი და ყოველგვარი შელამაზების გარეშე ეს საკითხი ხელმძღვანელობისთვის გვეცნობებინა. ჩვენ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის დარგში ბატონ ემზარ ჯანაშვილს დავუკავშირდით. მან აღნიშნულზე ასეთი განმარტება გააკეთა, -,,ჩვენი ხელისუფლება ყველაზე მეტად სწორედ ახალგაზრდების პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული.გასაგებია ახალგაზრდების მოთხოვნა, თუმცა უპრიანი იქნებოდა, მათ განცხადება გამგეობის სახელზე შემოეტანათ, ჩვენ შევისწავლიდით საკითხს, ადგილზე დავათვალიერებით და ვნახავდით ,რა შესაძლებლობა გვექნებოდა. მოგვმართონ ბავშვებმა განცხადებით და პრობლემის შესწავლის შემდეგ მათ გულდაწყვეტილებს ნამდვილად არ დავტოვებთ.“ ახალგაზრდები აუცილებლად მიმართავენ განცხადებით გამგეობას, იმედია, მათი თხოვნა ყურადღების მიღმა არავის დარჩება და საკითხი დადებითად გადაწყდება.

ლალი მეხრიშვილი.

2008 წლის აგვისტოს

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან ოთხი წელი გავიდა. 2008 წლის 7 აგვისტოს ომი ცხინვალის რეგიონში ქართულ ჯარებსა და რუსი სამხედროებით ზურგგამაგრებულ ოს სეპარატისტთა შორის დაიწყო. რუსეთმა საქართველოს სხვა რეგიონების საჰაერო დაბომბვაც დაიწყო. რუსებისა და ოსების გაერთიანებული სახედრო შენაერთები ქართველებს ცხინვალში სამი დღე ებრძოდნენ. რუსულმა გემებმა საქართველოს შავიზღვისპირეთი დაბლოკეს. 9 აგვისტოს რუსულმა და აფხაზურმა ძალებმა მეორე ფრონტი გახსნეს კოდორის ხეობაზე თავდასხმით და დასავლეთ საქართველოს შიდა ტერიტორიებში შეიჭრნენ. ხუთი დღის შემდეგ ქართულმა ჯარებმა ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონი დატოვეს. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით კონფლიქტურმა მხარეებმა 12 აგვისტოს მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელსაც საქართველომ თბილისში 15 აგვისტოს მოაწერა ხელი, ხოლო რუსეთმა მოსკოვში – 16 აგვისტოს. 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა უკვე გასცა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება, თუმცა საქართველოს დასახლებული პუნქტების დაბომბვები და რუსი ჯარისკაცების თვითნებობები არ შეწყვეტილა. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთმა საკუთარი ჯარების უმეტესი ნაწილი სამეგრელოს და შიდა ქართლის რეგიონებიდან გაიყვანა. ბუფერული ზონები შექმნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრების გასწვრივ და სათვალთვალო პუნქტები დატოვა ფოთში, სენაკსა და პერევში. 26 აგვისტოს რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო.25 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ჯანდაცვის სამინისტროების ინფორმაციით აგვისტოს ომის დროს დაღუპულია: – შეიარაღებული ძალების 168 სამხედრო მოსამსახურე; პოლიციის 16 თანამშრომელი; 188 მშვიდობიანი მოქალაქე.

1-აგვისტო -გამთენიისას ცხინვალის რეგიონში ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე, ინტენსიური სროლები დაიწყო საქართველოს თავდაცვის ქვედანაყოფებსა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის, რის შედეგადაც ექვსი დაიღუპა, ხოლო 21 ადამიანი დაიჭრა.

2 აგვისტოს ოსი სეპარატისტები ქართულ სოფლებს მთელი ღამე ცხრილავენ. არის მსხვერპლი. საქართველოს ხელისუფლება ოს სეპარატისტებს ცეცხლის დაუყონებლივ შეწყვეტისკენ მოუწოდებს. სეპარატისტები ცხინვალიდან ჩრდილოეთ ოსეთში ქალებისა და ბავშვების ევაკუაციას იწყებენ.

სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელს მარად კულახმეტოვს ხვდება. იაკობაშვილი ოს სეპარატისტებთან შეხვედრას ითხოვს, მაგრამ უარს იღებს.

3 აგვისტო- რუსეთის მთავრობამ საშუალება მისცა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას რუსეთში გახიზნულიყო. ამავე დღეს რეგიონს ლტოლვილებით დატვირთული 20 ავტობუსი ტოვებს.

საქართველო მოლაპარაკებებისათვის ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მზად არის. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს მფარველი ანგელოზის დღეს ულოცავს. მისალოცი ბარათი მის უწმინდესობასთან საქართველოში რუსეთის ელჩს ვიაჩესლავ კოვალენკოს მიაქვს. ვლადიკავკაზში ე. წ. სამხრეთ ოსეთის მხარდამჭერი მიტინგი იმართება. ამ დღეს აფხაზი სეპარატისტები იღებენ გადაწყვეტილებას სექტემბრიდან გალში ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვის შესახებ. სერგეი ბაღაფში საგანგებო მდგომარეობას აცხადებს და ენგურის ხიდს კეტავს.

4 აგვისტო - რუსეთის 58-ე არმიის ხუთი ბატალიონი ჩრდილოეთ ოსეთის მხარეს როკის გვირაბის სიახლოვეს განახლდა. აფხაზები გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობის მიღებაზე უარს აცხადებენ. შეხვედრა 15 აგვისტოს ბერლინში უნდა გამართულიყო. თავის მხრივ, ოს სეპარატისტთა ლიდერი, კოკოითი აცხადებს, რომ იგი "რუსეთის გარეშე საქართველოსთან მოლაპარაკებას არ დაიწყებს". სეპარატისტთა ე.წ. შს მინისტრი მიხეილ მინძაევი აცხადებს, რომ ცხინვალი ცეცხლის გახსნისთვის მზადაა. საქართველოს ხელისუფლების პოზიციას სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი ახმოვანებს: "საქართველო საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას არ აპირებს" და ოსურ მხარეს კვლავ მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს. შეთავაზება კვლავ უპასუხოდ რჩება. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდგარი რუსული ბატალიონი საგანგებო მდგომარეობაზე გადადის. კოკოითი ცხინვალიდან აცხადებს, რომ საქართველოს გასანადგურებლად მზადაა.

5 აგვისტო - ოსმა სეპარატისტებმა ქართული სოფლების დაცხრილვა განაახლეს. 5 აგვისტოს დილითვე აფხაზი სეპარატისტები მეორე ფრონტის გახსნაზე იწყებენ საუბარს. რუსეთის სამხრეთ ნაწილიდან ცხინვალისკენ მოხალისეთა ნაკადი მიედინება. სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროები საქართველოსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისკენ მოუწოდებენ. განცხადებას ავრცელებს ეუთოც, რომელიც ვითარების დაძაბვაში სეპარატისტებს ადანაშაულებს.

6 აგვისტო- ქართული სოფლები კვლავ

იცხრილება. საქართველოს განცხადებით, ქართულმა მხარემ ჯავშანტრანსპორტიორი დაკარგა,სამი ქართველი სამშვიდობო ჯარისკაცი დაიჭრა. იმავე ღამეს სროლებმა ოთხი ადამიანი იმსხვერპლა, რის გამოც ქართულმა მხარემ სროლები განაახლა.ცხინვალში ჩადის დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრუფუფლებიანი ელჩი დენის კიფი.ცხივნალის მცხოვრებლები გახიზვნას იწყებენ, ხოლო ქართულმა მხარემ ტანკები, არტილერია და ჯარები რეგიონის საზღვართან მიიყვანა.სოფლები – ნული და ავნევი – ოსი სეპარატისტების შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაბომბეს. არის მსხვერპლი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში საგანგებო თათბირი იმართება. მოსკოვი იური პოპოვს 6 აგვისტოს ღამით თბილისში "საქმის ვითარებაში გასარკვევად აგზავნის". პოპოვი აცხადებს, რომ იაკობაშვილისა და ჩოჩიევის შეხვედრა რუსული მხარის ხელშეწყობით გაიმართება. ამავე დროს, პოპოვი აცხადებს, რომ "ცხინვალის რეგიონში მოვლენათა ძალისმიერი გზით განვითარების შემთხვევაში რუსეთი განზე ვერ დარჩება". ოსი სეპარატისტები 7 აგვისტოს ცხინვალში დაგეგმილი შეხვედრის ვადას სწევენ და შეხვედრის ჩატარებას ქართულ მხარეს 9 აგვისტოს სთავაზობენ.

7 აგვისტო- თავდასხმებმა ქართულ სოფლებზე უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. სეპარატისტები განუწყვეტლად ბომვავენ ქართულ სოფლებს ერედვის, ფრისს, ავნევს, დვანსა და ნულს, ფრონეს ხეობას. ღამით გახსნილი ცეცხლის საპასუხოდ ქართულ მხარეს ცეცხლი არ გაუხსნია. თუმცა მას შემდეგ რაც სეპარატისტებმა ცეცხლი მსხვილკალიბრიანი – 12-მილიმეტრიანი ქვემეხიდან გახსნეს, ცეცხლი ქართულმა მხარემაც გახსნა. ქართული მხარე აცხადებს, რომ მას „არა აქვს დაგეგმილი კონფლიქტის ზონაში საგანგებო ზომების მიღება და დიალოგისათვის მზად არის ". საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო განცხადებით გამოდის - "ქართული მხარე მაქსიმალური თავშეკავების გამოჩენისათვის მზადაა". საქართველოს საგარეო უწყება მოუწოდებს რუსეთს გამოიყენოს თავისი ზეგავლენა სეპარატისტებზე და მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვა აღკვეთოს. ბაღაფში ე.წ. უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომას იწვევს. სხდომა დახურულია. იური პოპოვმა და თემურ იაკობაშვილმა ცხინვალში შეხვედრის გამართვის შესახებ შეთანხმება ვერ შეძლეს. იაკობაშვილი კონფლიქტის ზონაში მიემგზავრება. კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა იური პოპოვიც. ოსი სეპარატისტების მიერ ქართული საგუშაგოებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცხრილვა გრძელდება. გამუდმებით იცხრილება პატარა ლიახვის ხეობა. სეპარატისტებმა სარაბუკის სიმაღლის დაკავება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. იაკობაშვილი მარატ კულახმეტოვს, ცხინვალში სამშვიდობოთა შტაბში შეხვდა და თბილისში დაბრუნდა. იაკობაშვილისა და კულახმეტოვის შეხვედრის დეტალები არ ხმაურდება. 7 აგვისტოსთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით ათი ჯარისკაცი დაიღუპა. პრეზიდენტის ბრძანებით ქართულმა მხარემ ცალმხრივი სროლის შეწყვეტა გამოაცხადა.

"კონფლიქტის ზონაში ამჟამად სნაიპერული ომი მიმდინარეობს სოფლის მცხოვრებთა წინააღმდეგ და ამ მომენტში ინტენსიური სროლები მოდის არტილერიიდან, ტანკებიდან და ხელსატყორცნი არტილერიული სისტემებიდან, რომლებიც კონფლიქტის ზონაში არალეგალურადა შემოტანილი", – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ადგილობრივი 19:10 საათზე პირდაპირ სატელევიზიო გამოსვლაში. სააკაშვილმა მოუწოდა მხარეებს მოლაპარაკებებისკენ „ნებისმიერ ფორმატში" და პირობა სამხრეთ ოსეთის სრულ ავტონომიაზე ძალაში დატოვა, ასევე საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა სეპარატისებისთვის, ხოლო საერთაშორისო თანამეგორბობას მოუწოდა მხარეთა შორის მოლაპარაკებებისთვის შუამდგომლობა გაეწია.სააკაშვილი საერთაშორისო თანამეგობრობას დახმარებისათვის მიმართავს და ძალადობის ესკალაციის შეჩერებასა და მოლაპარაკებების წარმოებაში დახმარებას სთხოვს. სააკაშვილმა პირდაპირი ეთერით რუსეთის ფედერაციას კიდევ ერთხელ შესთავაზა შუამავლის როლი კონფლიქტების მოგვარების საკითხში.ოსურმა მხარემ ცეცხლი შეწყვიტა.იური პოპოვი აცხადებს, რომ 8 აგვიტოს თემურ იაკობაშვილისა და ბორის ჩოჩიევის შეხვედრა გაიმართება. მარატ კულახმეტოვი აცხადებს, რომ "თბილისი და ცხინვალი ორმხრივ შეხვედრამდე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმდნენ". სააკაშვილი ცხინვალში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საზღვარგარეთის ქვეყნების ლიდერებთან სატელეფონო დიალოგს იწყებს. საღამოს ოსურმა მხარემ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება დაარღვია. შეტევა დაიწყო სოფელ თამარაშენზე. არის მსხვერპლი. 23:30 საათზე ქართულმა მხარემ საპასუხო სამხედრო ოპერაცია დაიწყო, რომლის მიზანი სამშვიდობო ჯარების სარდალ ყურაშვილის განცხადებით, რეგიონში „კონსტიტუციური წესრიგის" დამყარება იყო. ქართული მხარის საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე რუსეთის 58-ე არმია როკის გვირაბით სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შემოვიდა.

8 აგვისტო- ოსური მხრიდან ცეცხლი არ წყდება. ბომბავენ მშვიდობიან მოსახლეობას. არის მსხვერპლი.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმირ პუტინმა, რომელიც პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე იმყოფებოდა, დაგმო საქართველოს „აგრესიული ქმედებები" და თქვა, რომ რუსეთი ამ ქმედებებს უპასუხოდ არ დატოვებდა. 09:30 საათზე პრეზიდენტმა მედვედევმა სასწრაფო შეხვედრა გამართა მთავრობის წევრებთან, კონფლიქტის შესახებ რუსეთის შესაძლო მოქმედების გეგმის შესამუშავებლად.როკის გვირაბის გავლით შემოსული ასობით შეიარაღებული პირი და სამხედრო ტექნიკა საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება. საქართველოს მთავრობა მოუწოდებს სეპარატისტებს შეწყვიტონ შეიარაღებული მოქმედებები. 11:40 საათზე სააკაშვილის ბრძანებით ქართული სარეზერვო ჯარების მობილილზაცია გამოცხადა. საქართველოს მთავრობა: "შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თავდასხმის აღსაკვეთად, საქართველოს ხელისუფლება იძულებულია ადეკვატური ზომები მიიღოს". ქართულმა ქვედანაყოფებმა ორი სოფელი მუგუთი, დიდმუხა, დმენისი დაიკავეს და ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებიან. პირველი განცხადება ვაშინგტონიდან: აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გონსალო გალეგოსი აცხადებს, რომ ვაშინგტონი მოუწოდებს რუსეთს "გავლენა მოახდინოს სეპარატისტებზე რათა სროლები შეწყდეს". ინტენსიური ბრძოლები სოფელ ტყვიავში მიმდინარეობს. ქართული მხარე მზად არის მოლაპარაკებათა მაგიდას კვლავ დაუბრუნდეს. საქართველოს სახედრო შენაერთები კონფლიქტის ზონის რვა ქართულ სოფელს – დმენისს, მუგუთს, დიდმუხას, სარაბუკს, ზემო ნიქოზს, ატოცსა და ქვემო და ზემო ოქონას სრულად აკონტოლებენ. ცხინვალის მისადგომებთან არსებულ თითქმის ყველა სტრატეგიულ სიმაღლესა და სოფელში ქართული დროშა ფრიალებს. ქართული ქვედანაყოფები ქალაქ ცხინვალში შევიდნენ. კოკოითი ჯავის რაიონში, საგანგებო შტაბში იმყოფება. რუსული ავიაცია ქართული ქალაქების დაბომბვას იწყებს. საქართველოს საელჩოს შენობას მოსკოვში ე.წ. ომონი ალყაში აქცევს. საელჩო მუშაობას აგრძელებს. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს უკან დაეწიათ რუსეთის 58-ე არმიის ნაწილები, რომლებსაც როკის გვირაბიდან ჯავის რაიონში გადაადგილების მცდელობა ჰქონდათ. ქართულ არმიას 10 დაქირავებული მებრძოლი ჩაბარდა. ქართული მხარე კონფლიქტის რეგიონის 70% აკონტროლებს.საქართველოს ხელისუფლება 15:00-დან 18:00 საათამდე სროლაზე მორატორიუმს აცხადებს და ერგნეთში გაკეთებული დერეფნით მშვიდობიან და არა მარტო მშვიდობიან მოსახლეობას უსაფრთხოების გარანტიებს, გორში გადმოსვლასა და დაბინავებას სთავაზობს. რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავმა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ორი ბომბი ჩამოაგდო. რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა მარნეულის სამხედრო აეროდრომი და ვაზიანის სამხედრო ბაზა დაბომბა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 58-ე არმიის დანაყოფები ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებიან. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებას მსოფლიო ლიდერებს აცნობს. საქართველოს პარლამენტი მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. ქართული მხარე მკაცრად იცავს მორატორიუმის პირობებს და ცეცხლს არ ხსნის.

ომის ქრონიკა

რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრო 00:00 საათიდან, საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლას წყვეტს. რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა სამჯერ დაბომბეს მარნეულის საავიაციო ბაზა. არის მსხვერპლი. საქართველოს მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის პრეზიდენტი და საერთაშორისო ორგანიზაცია და რუსეთს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს. რუსეთის სამხედრო ტექნიკა ჯავაში განლაგდა. ისინი ქართული არმიის ალყის გარღვევას ცდილობენ. შემნილ მდგომარეობაზე ევროკავშირის "ტროიკაც" მსჯელობს.

9 აგვისტო- რუსულმა საბრძოლო თვითმფრინავმა სენაკის სამხედრო ბაზა და ფოთის პორტი დაბომბა. არის მსხვერპლი. დაიღუპა 13 ქართველი ჯარისკაცი და ათზე მეტი დაიჭრა. ორმა რუსულმა მოიერიშემ გორთან ქართული არტილერიის პოზიციები დაბომბა. ხუთი ადამიანი დაიღუპა, ქალაქ გორში ბომბი საცხოვრებელ კორპუსს მოხვდა. რუსეთის საჰაერო ძალების ფსკოვის 76-ე საჰაერო დივიზია ცხინვალში შევიდა. ქართული მხარის განცხადებით, ჩამოგდებულია 10 რუსული მოიერიშე თვითმფრინავი. 11:10 საათზე საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. საქართველოს პარლამენტმა 90 ხმით 0-ის წინააღმდეგ ერთხმად დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება. 12:30 საათზე სამხრეთ ოსეთში რუსებმა საპარაშუტო დესანტი გადმოსხეს. პრეზიდენტი სააკაშვილი საკუთარ გამოსვლაში მხარეებს ცეცხლის შეწყვეტაზე მოუწოდებს. 13:41 საათზე რუსეთის საჰაერო ძალებმა დაბომბეს კოდორის ხეობა. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი პეტრას ვაიტიეკუნასი გორის რეგიონში ჩადის. ვაიტეკუნასის განცხადებით, ნგრევისა და მსხვერპლის რაოდენობა შოკის მომგვრელია. "ამერიკის ხმა" საქართველოს ტერიტორიაზე მაუწყებლობას აორმაგებს. გაეროს უშიშროების საბჭომ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ერთიანი გადაწყვეტილების მიღება ვერ შეძლო. კვლავ დაიბომბა ფოთი. საქართველო ერაყიდან ათასი სამხედრო მოსამსახურის უკან გამოწვევის გადაწყვეტლებას იღებს. კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მსოფლიო თანამეგობრობას საქართველოში სიტუაციის მშვიდობიან გადაჭრაში დახმარებას სთხოვს.რუსეთის სამხედრო ავიაცია ლიახვის ხეობის ცხრავე სოფელს ბომბავს. არის მსხვეპლი. ხეობაში დარჩენილი მოსახლეობა შველას ითხოვს.

საქართველოში იწყებენ ჩამოსვლას სხვა და სხვა საერთაშოროსო ორგანიზაციების დამკვირვებელთა ჯგუფები. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ რუსეთის სამხედრო აგრესია ე.წ. "ჰუმანიტარული დახმარების" და "მშვიდობისათვის იძულების ოპერაციის" საფარქვეშ მიმდინარეობს. ცხინვალში ბრძოლები მძაფრდება. რუსეთის სამხედრო ავიაციამ ონის რაიონის სოფლები წედისი და ბარი დაბომბა. არიან დაღუპულები და დაჭრილები. ჯორჯ ბუშმა რუსეთს მოუწოდა, შეწყვიტოს საბრძოლო მოქმედებები. მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს პირველი პირი აცხადებს, რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, დაღუპულია 55 ადამიანი, მათ შორის 15 მშვიდობიანი მოქალაქე, 40 კი სამხედრო მოსამსახურე.რუსეთის ბომბდამშენებმა ბაქო-თბილისი–ჯეიჰანის საერთაშორისო ნავთობსადენზე იერიში მიიტანეს. წითელი ჯვრის წარმომადგენლები კონფლიქტის ზონაში დაჭრილების დასახმარებლად ვერ შედიან. რუსულმა ავიაციამ ზემო აფხაზეთის სოფლები ომარიშარა, საკენი, ქვაბჩარა და ჩხალთა დაბომბა. ქართულმა მხარემ როკის გვირაბზე იერიში მიიტანა. ოფიციალური ინფორმაციით საქართველოს სამთავრობო ძალები ცხინვალსა და მის შემოგარენს აკონტროლებენ.

10 აგვისტო – 6:20 საათზე საქართველომ ცეცხლის შეწტყვეტა მოითხოვა და რუსეთს მოლაპარაკება შესთავაზა. ა ნიკოლა სარკოზიმ სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების დასარეგულირებლად შეიმუშავა გეგმა. ვლადიმერ პუტინმა პეკინის ოლიმპიადაზე ვიზიტი შეწყვიტა და ჩრდილო ოსეთში ჩავიდა. მან საქართველოს ხელისუფლებას ცხინვალის რეგიონიდან სამხედრო ნაწილების გამოყვანა მოსთხოვა. პუტინი აცხადებს, რომ საქართველოს ქმედებები დანაშაულებრივია, რუსეთის ქმედებები კი – სრულიად ლეგიტიმური. საქართველოს საჯარისო შენაერთები მთლიანად აკონტროლებენ ცხინვალს, მის ირგვლივ ყველა სტრატეგიულ სიმაღლეს. რუსული ავიაცია და არტილერია ცხივნალის დაბომბვას იწყებს. საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლომაიამ საგანგებო ბრიფინგზე დაადასტურა, რომ რუსული არმიის უპრეცედენტო შეტევის შედეგად საქართველოს ჯარის ნაწილებმა ქალაქ ცხინვალის მისადგომებთან გადაინაცვლეს. საქართველოს მთავრობამ აფხაზ ხალხს მიმართა ნუ აყვებიან რუსეთის პროვოკაციებს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მიერ სამხრეთ ოსეთში სიტუაციის განმუხტვისათვის შემუშავებულ სამეტაპივან გეგმას ჩამოიტანს. სერგეი ბაღაფში საყოველთაო მობილიზაციას აცხადებს. საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ აფხაზეთის სანაპიროზე რუსეთის საზღვაო ძალების შავი ზღვის ფლოტი იმყოფება.იმავე დღესვე რუსებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტი დაბომბეს. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ამ განცხადებას საქართველოს „კიდევ ერთი დეზინფორმაცია" უწოდა. 22:00 საათზე საქართველო დათანხმდა რუსეთის სამშვიდობოების შესვლას ზუგდიდში. მსოფლიოს ლიდერები რუსეთისგან ცეცხლის შეწყვეტას ითხოვს. ევროპის ქვეყნებში, რუსეთის საელჩოების წინ, საპროტესტო აქციები იმართება. რუსეთის ავიაცია გორსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს ბომბავს. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს შეიარაღებული ჯარები სამხრეთ ოსეთში ცეცხლს შეწყვეტენ. რუსული ავიაცია საავიაციო ქარხნის "თბილავიამშენის" ტერიტორიას ბომბავს. ოფიციალური მონაცემებით, 94 ადამიანია დაღუპული, მათ შორის 47 სამხედრო და 47 სამოქალაქო პირია. ევროპის სხვა და სხვა ლიდერები საქართველოს მხარდამჭერი განცხადებებით გამოდიან. ზემო აფხაზეთს რვა რუსული ბომბდამშენი ინტენსიურად ბომბავს.

11 აგვისტო - სერგეი ლავროვმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისთან სატელეფონო საუბარში ახსენა, რომ მიხეილ სააკაშვილი "უნდა წავიდეს". თბილისში ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები ჩამოდიან. ზემო აფხაზეთს კვლავ რუსეთის სამხედრო ავიაცია ბომბავს. რუსულმა ავიაციამ თბილისა და მის შემოგარენზე საჰაერო შეტევა განახორციელა. სამხედრო ბაზა სენაკში რუსმა მედესანტეებმა დაიკავეს. ზუგდიდის პოლიცია რუსების ხელში გადავიდა. გენერალი სერგეი ჩაბანი ქართულ მხარეს ულტიმატუმს უყენებს და იარაღის დაყრას მოითხოვს. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ადასტურებს ცნობას ჩეჩნეთიდან სპეცბატალიონების "ვოსტოკისა" და "ზაპადის" გადმოყვანის შესახებ. საქართველოსა და რუსეთს შორის საფოსტო კავშირი შეწყდა. ქართული მხარე ჰუმანიტარული დერეფნის გაკეთებასთან დაკავშირებით რუსეთის თანხმობას უშედეგოდ ელის. ბერნარ კუშნერი თბილისში ჩამოდის. რუსეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს აპატიმრებენ. ორი დღის განმავლობაში მოსკოვში ეთნიკური ნიშნით მოკლულია 7 ქართველი 20 უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. საქართველოს პრეზიდენტი და უცხოელი დიპლომატები გორიდან სასწრაფოდ გამოიყვანეს. ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ რუსეთი თავის სამშვიდობო მისიას ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანს. რუსულმა ავიაციამ სოფელ ტყვიავზე მორიგი იერიში მიიტანა. სოფელი ხურჩა აფხაზებისა და რუსების შეიარაღებულმა ნაწილებმა დაიკავეს. სენაკის სამხედრო აეროპორტი და სამხედრო ბაზა იმობმება. საქართველოს პრეზიდენტმა მოსახლეობას "ხვალ, 15:00 საათზე პარლამენტთან" შეკრებისკენ მოუწოდა

12 აგვისტო- რუსეთმა ფოთის სანაპიროსთან ნაწილები გადმოსხა პორტის გარშემო 50 კმ-იანი ბუფერული ზონის შესაქმნელად. აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში კიდევ ერთ განცხადებას აკეთებს და მოითხოვს რუსეთმა გადადგას ნაბიჯები კრიზისის დასასრულებლად. "დიდი შვიდეულის" ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა რუსეთისგან მოითხოვეს დაუყოვნებლივ დათანხმდეს ცეცხლის შეწყვეტას. რუსეთის საოკუპაციო ნაწილებმა ზემო აფხაზეთის მიმართულებით სამხედრო ოპერაცია დაიწყეს. რუსეთის საოკუპაციო სამხედრო საჰარეო ძალებმა გორის რაიონის სოფელი თორტიზა დაბომბეს. კოდორის ხეობიდან მოსახლეობა მთლიანად გამოყვანილია. რუსულმა ავიაციამ თბილისის ზღვაზე იერიში მიიტანა. სერგეი ლავროვმა საქართველოს ხელისუფლების შეცვლის შესახებ ღიად განაცხადა. რუსეთის პრეზიდენტმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში "ძალით მშვიდობის დამყარების" ოპერაციის დასრულების შესახებ განაცხადა. გორის დაბომბვის შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა. რუსეთის საოკუპაციო ჯარები სენაკში თავდაცვის სამინისტროს მე-2 ბრიგადის ბაზის ინფრასტრუქტურას ანადგურებენ. ილია მეორემ დიმიტრი მედვედევს მიმართვა გაუგზავნა და ცეცხლის უსწრაფესად შეწყვეტისა და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისკენ მოუწოდა. რუსეთი გრძელებს საქართველოს ტერიტორიის საჰაერო დაბომბვებს. რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა შეტევა განახორციელეს ბაქო-თბილის-სუფსის ნავთობსადენზე. პარლამეტის წინ შეკრებილ მოსახლეობას მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა, რომ საქართველო რუს სამშვიდობოებს ოკუპანტებად, ხოლო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებს ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოაცხადებდა. მან ასევე გამოაცხადა, რომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოდიოდა. ზუგდიდში რუსმა სამხედროებმა ქართული სამშვიდობოების შტაბი და სხვა ადმინისტრაციული შენობები დაიკავეს. რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ჩიხიდან გამოსვლის 6-პუნქტიანი განცხადება შეიმუშავეს. საქართველომ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში შეიტანა სარჩელი "საქართველო რუსეთის წინააღმდეგ". საქართველო რუსეთს ეთნიკურ წმენდაში ადანაშაულებსრუსული ავიაცია ქართული სოფლების დაბომბვას განაგრძობს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა. თბილისში იმყოფებიან ესტონეთის, პოლონეთის, ლიტვისა და უკრაინის პრეზიდენტები. ასევე ლატვიის პრემიერი-მინისტრი. დაღუპულია 175 ადამიანი. იაპ დე ჰოოპ სხეფერი აცხადებს, რომ მიუხედავად კონფლიქტისა საქართველო რჩება ნატოს კანდიდატი ქვეყანად. მოსკოვში ნიკოლა სარკოზის პირად საუბარში პუტინმა განუცხადა, რომ ის "საკაშვილის ყვერებით ჩამოკიდებას" აპირებდა.

13 აგვისტო - საქართველოში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა. გორს რუსი სამხედროები აკონტროლებენ. მათ გორში მოროდიორობა დაიწყეს. რუსმა ოკუპანტებმა ფოთი დატოვეს. რუსმა ოკუპანტებმა გორთან დასავლეთისკენ მიმავალი საავტომობილი გზა გადაკეტეს. რუსეთმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება დაარღვია და გორი კვლავ დაბომბა. გორიდან თბილისისკენ მომავალმა რუსულმა ტანკებმა უფლისციხის მიმართულებით გადაუხვია. რუსი ოკუპანტები მესტიის რაიონში შევიდნენ. რუსი სამხედროები გორში მშვიდობიან მოსახლეობას უსწორდებიან.

14 აგვისტო - რუსი ოკუპანტები მესტიის რაიონს ტოვებენ. თბილისში ცხინვალის რეგიონიდან 28 ათასი დევნილია, რომლებიც 268 ობიექტშია გადანაწილებულნი.

15 აგვისტო - რუსმა ოკუპანტებმა მდინარე ცხენისწყლის საავტომობილო ხიდი გადაკეტეს. პატრიაქრი გორში შევიდა. კონდოლიზა რაისი თბილისშია. საქართველოს პრეზიდენტი ხელს აწერს ცეცხლის შეწყვეტის გეგმას.რუსეთის სამხედრო ვერტმფრენებმა ბორჯომისა და ცემის მიმდებარე ტერიტორია დაბომბეს.

16 აგვისტო -მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში რუსული აგრესიის საწინააღმდეგოდ ფართომასშტაბიანი აქციები იმართება. რუსმა ოკუპანტებმა გალიდან ზუგდიდში დამატებით 50 ერთეული ტანკი შეიყვანეს. რუსრუსი სამხედროები კვლავ გორში რჩებიან. რუსეთის საოკუპაციო ჯარების ნაწილებმა დანაღმეს და აფეთქეს სარკინიგზო ხიდი კასპის რაიონში მეტეხი-გრაკალის გადასარბენზე. დიმიტრი მედვედევმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გეგმას ხელი მოაწერა. რუსული ვეტრფრენები სურამის ტყეში ცეცხლგამჩენ ჭურვებს ყრიან.

17 აგვისტო - თბილისს ამერიკელი სენატორი ბაიდენი ეწვევა. ანგელა მერკელი თბილისშია მედვედევმა სარკოზის პირობა მისცა, რომ საქართველოდან ჯარების გაყვანის პროცესი ხვალიდან დაიწყება

18 აგვისტო - რუსმა ოკუპანტებმა შტურმით აიღეს გორის სატელევიზიო ანძა და მომსახურე პერსონალი ჩაცხრილეს. რუსმა ოკუპანტებმა განმუხურის პატრიოტთა ბანაკი გადანვეს.

19 აგვისტო - სენატორი ჯოზეფ ბაიდენი კონგრესს საქართველოსთვის ერთი მლრდ დოლარის გამოყოფას სთხოვს. რუსეთის საოკუპაციო ჯარების გასვლის თარიღი კიდევ ორი დღით გადაიდო. დაღუპულა 215 ადამიანი, 1469 დაჭრილია, დაკარგულია 70 სამხედრო პირი. დიმიტრი მედვედევი სარკოზის ჯარების გაყვანას 22 აგვისტოსთვის დაჰპირდა. რუსმა ოკუპამტებმა ოსიაურის სამხედრო ბაზა ააფეთქეს.

20 აგვისტო - რუსმა ოკუპანტებმა საჩხერის რაიონის სოფელი პერევი დაიკავეს. კიკეთის მიმდებარე ტყეში ორმა რუსულმა ვერტმფრენმა ცეცხლგამჩენი ჭურვები ჩამოყარა.

21 აგვისტო - საქართველოს რუმინეთის პრეზიდენტი ეწვევია. ტყვეთა გაცვლის შესახებ მოლაპარაკების პროცესი დიწყო. რუსეთს აკრძალული იარაღის გამოყენებაში ადანაშაულებენ.

22 აგვისტო - ხაშურიდან და გორიდან რუსი ოკუპანტების გასვლა შეინიშნება. წინასწარი მონაცემებით განადგურებულია 500 ჰა უნიკალური ტყის მასივი. რუსეთი ენგურზე 18 საგუშაგოს განალაგებს. ოფიციალურად აფხაზეთში რუსული საოკუპაციო არმიის 2 142 სამხედრო რჩება.

23 აგვისტო - რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილებმა სენაკის ბაზა დატოვეს.

24 აგვისტო - რუსი ოკუპანტები საჩხერის რაიონის სოფელ პერევის ტერიტორიაზე რჩებიან.

25 აგვისტო - რუსეთის ფედერაციის საბჭომ პრეზიდენტს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების რეკომენდაცია მისცა. რუსეთის დუმამ აღიარებას მხარი დაუჭირა.გორში ტყვეთა გაცვლის მორიგი ეტაპი იწყება.

26 აგვისტო - დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც რუსეთი საქართველოს სეპარატისტული რეგიონების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს.

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო. რუსეთმა დაასრულა გასვლა საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებიდან 8 ოქტომბერს, თუმცა 2009 წლის მდგომარეობით რუსული ჯარების გაძლიერებული გარნიზონები რჩება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (მათ შორის იმ ტერიტორიებზეც, რომლებსაც ომამდე საქართველო აკონტროლებდა). რამდენიმე ინციდენტი ორივე კონფლიქტური ზონაში კვლავაც ხდებოდა ომის დასრულებიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ. 2009 წლის მდგომარეობით ომში მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობა კვლავაც უკიდურესად დაძაბულია.

პრობლემის სამშვიდობო გადაწყვეტისკენ თითქმის ერთხმად მოწოდებისა და ნატოსა და რუსეთს შორის პირდაპირი კონფლიქტის თავიდან არიდების გარდა, საერთაშორისო რეაქცია, რომელსაც ევროკავშირი და აშშ დომინირებდა, ხაზგასმით უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო არცნობილი ტერიტორიები კი სოლიდარობას უცხადებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს.

Facebook - განქორწინებების თანამედროვე მიზეზი

მამაკაცმა მეუღლეს მასზე განხორციელებული ძალადობისთვის უჩივლა. მიზეზი სოციალური ქსელი Facebook გახდა. ცოლმა მისი გვერდი გახსნა და ინფორმაციის წაკითხვის შემდეგ ხელში დანა ჩაარტყა.

ტეხასის მკვიდრი, 33 წლის ბრაიანი აგრესიული ქცევისთვის დააკავეს.

პოლიციის განცხადებით, მამაკაცმა მათ განუცხადა, რომ მას ეძინა, როდესაც მისმა მეუღლემ გახსნა Facebook-ის გვერდი და წაიკითხა იქ არსებული ინფორმაცია. ამის შემდეგ კი დანით გამოეკიდა და დაჭრა.

ეს ინფორმაცია ახლახან გავრცელდა, თუმცა, უკვე დიდი ხანია, რაც სოციალური ქსელი ოჯახური დრამების მიზეზი ხდება.

„facebook-ზე ვიღაცას სწერდა, თავიდან არ მივაქციე ყურადღება, მეგონა მუშაობდა. ვის ეკონტაქტებოდა, არ მიკითხავს.. მითხრა, მთელი ღამე სამუშაო მაქვსო..დილით რომ ავდექი, ისევ კომპიუტერთან იჯდა. როცა ეს ყველაფერი რამდენიმე დღე გაგრძელდა, ეჭვი შემეპარა. ერთხელაც რამდენიმე წუთით ადგა და facebook ჩართული დატოვა, დავინტერესდი, გავხსენი და აღმოვაჩინე, რომ მთელი კვირა პროექტებზე მუშაობის ნაცვლად, ვიღაც ქალს შეხვედრას სთხოვდა“, - მაკა 32 წლისაა, გათხოვილი 15 წელი იყო, 2 შვილი ჰყავს და ახლა სასამართლო პროცესზე განქორწინების მიზეზს ჰყვება.

„რამე დაძაბულობა ან უთანხმოება ხომ არ გქონდათ“? - ეკითხება მოსამართლე.

„იმ პერიოდში არანაირი უთანხმოება არ გვქონია, არც კი გვიკამათია“,- პასუხობს მაკა.

ნიკას პროცესზე არაფერი განუმარტავს. მზიამ, მაკას დედამთილმა მოსამართლეს სთხოვა შვილისთვის მოსაფიქრებლად მაქსიმალური პერიოდი მიეცა. 6 თვის გასვლის შემდეგ ნიკა პროცესზე გამოცხადდა და მხარი ისევ განქორწინებას დაუჭირა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დიანა ბერეკაშვილი, რომელიც განქორწინებების საქმეებს ხშირად განიხილავს, ამბობს, რომ ბოლო პერიოდში მაკას მსგავსი მიზეზით ბევრი წყვილის სასარჩელო განაცხადი იწყება. უბრალოდ გმირი ხან ქმარია, ხან ცოლი, ფაცებოოკ-ს კი ხან ოდნოკლასსნიკი ცვლის, ხან - შკყპე. სხვათაშორის, ამ განაცხადებში წყვილები გაცნობის ისტორიებსაც ჰყვებიან და უკანასკნელ წლებში ასეთი შეხვედრების ადგილად ხშირად ვირტუალურ სამყაროს - სოციალური ქსელებსა და ჩატებს ასახელებენ: „ეს ძირითადად ეხებათ 30 წლამდე წყვილებს, რომლებიც, როგორც წესი, ამბობენ, რომ ერთმანეთი ინტერნეტით გაიცნეს, ვიღაცამ odnoklassniki-ზე ფოტო 5-იანით შეუფასა, მერე შეტყობინება მისწერა, მერე რამდენჯერმე შეხვდნენ და დაქორწინდნენ. შეხვედრების რაოდენობა ორი ან სამია ხოლმე. საინტერესო ტენდენცია ის არის, რომ სოციალური ქსელები, როგორც წესი, სწორედ იმ წყვილების განქორწინების მიზეზი ხდება, რომლებმაც ერთმანეთი ვირტუალურ სამყაროში გაიცნეს“, - განმარტავს დიანა ბერეკაშვილი.

განქორწინებების სტატისტიკა საქართველოში მზარდია. იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით, 2010 წელს ქვეყანაში 4738 წყვილი განქორწინდა, 2011-ში - 5861, მიმდინარე წლის პირველ ექვს თვეში კი ამ რიცხვმა უკვე 3435-ს მიაღწია. მიზეზების კვლევა არ არსებობს, თუმცა facebook-ის გამო განქორწინების ტენდენცია ისევე როგორც საქართველოში, მთელს მსოფლიოშიც ძალიან აქტუალურია.

ორი თვის წინ ერთმა ინდოელმა მამაკაცმა სოციალურ ქსელში ქმარმა სტატუსი „თავისუფალი“ „დაქორწინებულით“ არ შეცვალა, რის გამოც მისმა 28 წლის ცოლმა სასამართლოში სარჩელი შეიტანა და განქორწინება მოითხოვა. წყვილის ქორწინება სულ რაღაც 2 თვეს გრძელდებოდა, ქალი კი პირველი დღიდან ქმარს სტატუსის შეცვლას უშედეგოდ სთხოვდა. პროცესზე მამაკაცმა საკუთარი საქციელი გულმავიწყობით ახსნა და თქვა, რომ მზადაა დაუყოვნებლივ „დაქორწინდეს“ ფაცებოოკ-ზეც ან სულაც დახუროს პროფილი, შემდეგ კი მოსამართლეს სთხოვა გადაწყვეტილება ცოლის სასარგებლოდ არ მიეღო. ამ წყვილსაც მოსაფიქრებლად 6 თვე აქვთ, თუმცა ქალს ქორწინებაში ყოფნა არ სურს. ამბობს, რომ ქმარს აღარ ენდობა. წყვილის ისტორია ინდურმა და უცხოურმა მედიამ ერთ-ერთის ადვოკატის მონათხრობზე დაყრდნობით, ცოლ-ქმრის ვინაობის გამჟღავნების გარეშე გაავრცელა.

ინდოეთის სასამართლო პრაქტიკა წელს პირველად შეეჯახა საქმეს, სადაც გაყრის მიზეზად facebook-ია მითითებული, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში კი სოციალური ქსელების და გაჯეტების გამო განქორწინება აღარავის უკვირს. დუბაის სასამართლო დეპარტამენტის საოჯახო საკითხების განყოფილების ხელმძღვანელი აბდულ სალამ დარვიში ამბობს, რომ ბოლო დროს მეუღლის ერთგულება ვირტუალურ სივრცეში სულ უფრო მეტ ადამიანს აღელვებს: „კვირაში ორჯერ მაინც განვიხილავთ ასეთ შემთხვევებს. ზოგჯერ ქმარს არ მოსწონს, როცა მისი ცოლი სოციალურ ქსელში კაცებს ესაუბრება, ზოგჯერ კი მის უკმაყოფილებას მხოლოდ ის ფოტოებიც ინვევს, რომლებსაც მეუღლე facebook-ზე დებს. ხშირად ცოლებიც ითხოვენ განქორწინებას იმის გამო, რომ მათი ქმრები სხვა ქალებთან სოციალური ქსელებით, WhatsApp-ით ან რომელიმე მესინჯერით კონტაქტობენ. იყო შემთხვევები, როდესაც ისინი ქმრების iPhone-ის პაროლს ტეხავდნენ და მათი საყვარლების ფოტოებს ნახულობდნენ“,- ამბობს აბდულ სალამ დარვიში.

2011 წელს ბრიტანეთში განქორწინებების რიცხვმა იმატა და კომპანია Divorce-Online-მა ამ ფაქტის მიზეზების შესწავლა გადაწყვიტა. 5000 განაცხადის დამუშავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყოველ მესამე განქორწინებაში მიზეზად სოციალური ქსელი, კერძოდ კი Facebook, ფიგურირებდა. კომპანიის სპეციალისტებმა ის ძირითადი ფაქტორებიც შეისწავლეს, რის გამოც მარკ ცუკერბერგის ქმნილება ბრიტანულ ოჯახებს „ანგრევდა“: ყველაზე ხშირად წყვილები ჩიოდნენ, რომ მათი ყოფილი მეუღლეები საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს ეფლირტავებოდნენ. გავრცელებული მიზეზი იყო ფოტოებიც, რომელზეც ცოლი ან ქმარი „იტაგებოდა“ და კომენტარები, რომელსაც ერთ-ერთი მათგანი წერდა. აღმოჩნდა, რომ ბრიტანელებს მეუღლის ამგვარი ქცევის შესახებ ვირტუალური მეგობრები ატყობინებდნენ. რაც შეეხება მეორე პოპულარულ სოციალურ ქსელ Twitter-ს, მისი ბრალეულობა გაცილებით მცირეა: 2011 წელს Twitter-ის გამო მხოლოდ 20 წყვილი განქორწინდა.

სხვათა შორის, იგივე კომპანიამ მსგავსი კვლევა 2009 წელსაც ჩაატარა. ფაცებოოკ მაშინაც დასახელდა განქორწინებების მიზეზად, თუმცა 3 წლის წინ ის მხოლოდ ყოველი მეხუთე ოჯახის დანგრევაში იყო „დამნაშავე“. Divorce-Online-ს დირექტორი მარკ კინანი აცხადებს, რომ facebook სულ უფრო მეტი ინტერნეტ-მომხმარებლისთვის ხდება ურთიერთობის მარტივი გზა. “სოციალური ქსელის დახმარებით ყველაზე ხშირად ადამიანები ყოფილ პარტნიორებს პოულობენ, გაგზავნილი შეტყობინებები თავდაპირველად თითქოს უწყინარია, თუმცა შემდგომში ის მეუღლესთან პრობლემებს მაინც ქმნის. დღესდღეობით მათთვის, ვისაც ფლირტი სურს, facebook ყველაზე ხელმისაწვდომი ადგილია“,-აღნიშნავს კინანი.

ოჯახური კრიზისის მიზეზი facebook იტალიაშიც ხშირად ხდება. ადგილობრივი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე განქორწინებების საკითხებში ჯან ეტორე გასნი ამბობს, რომ იტალიელებისთვის სოციალური ქსელები სასიყვარულო თავგადასავლების მოსაძებნად იდეალური ადგილია. იტალიური ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის კვლევით, ვირტუალური ურთიერთობების 70% რეალურ შეხვედრაში გადადის, 30% კი - ხანგრძლივ სასიყვარულო რომანებში.

ფაცებოოკ „ღალატის“ ყველაზე დიდი ბუმი კი ამერიკაშია. ამერიკელი ადვოკატების უმეტესობას განქორწინების პროცესი სოციალური ქსელების გარეშე უკვე ველარც კი წარმოუდგენია. ქვეყნის ყველაზე ცნობილი იურისტების 81% ამბობს, რომ სოციალურ ქსელებში მოპოვებულ სამხილებს ღალატის მტკიცებულებად რეგულარულად იყენებს: მათგან 66% facebook-ზე მოდის, 15% - Myspace-ზე, 5% კი - Twitter-ზე. განქორწინებების მიზეზთა სტატისტიკა შარშან ამერიკის ადვოკატთა აკადემიამაც გამოქვეყნა: ყოველი მეხუთე გაყრა facebook-ს „დაბრალდა“. ამ შემთხვევაშიც ძირითადად ერთ-ერთი მეუღლე სოციალურ ქსელს ფლირტისთვის ან რომანისთვის იყენებდა.

სწორედ ასე მოხდა 45 წლის ამერიკელი სტივენის შემთხვევაში, რომლის ისტორიაც გასულ წელს ინტერნეტში გავრცელდა. სტივენი ერთ-ერთ კალიფორნიულ ბანკში მუშაობდა და მარგარეტთან 25 წლიან თანაცხოვრებას სანიმუშოდ თვლიდა. „არასდროს ვაქცევდი განსაკუთრებულ ყურადღებას იმას, რომ ჩემი ცოლი ინტერნეტთან დიდ დროს ატარებდა. პირიქით, კმაყოფილიც ვიყავი, რომ გასართობი იპოვა, რადგან ვფიქრობდი, ცხოვრების დიდ ნაწილს სახლსა და შვილებზე ზრუნვას უთმობდა. ერთხელაც სამსახურიდან დროზე ადრე დავბრუნდი და სამზარეულოს მაგიდაზე ჩართული კომპიუტერი დავინახე. მონიტორს ინსტინქტურად შევხედე და facebook-ის შეტყობინებებს თვალი გადავავლე. აღმოჩნდა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მარგარეტი რამდენიმე კაცთან მღალატობდა“, ჰყვებოდა იგი. სტივენი და მარგარეტი განქორწინდნენ. ადვოკატს ღალატის დადასტურებაში სწორედ ფაცებოოკ-ის შეტყობინებები დაეხმარა.

ამერიკელი იურისტები ბოლო რამდენიმე წელია წყვილებს სიფრთხილისკენ მოუწოდებენ: თუ რამის დამალვა გსურთ, გახსოვდეთ, რომ შეიძლება ის ფაცებოოკ-ის დახმარებით მარტივად გამჟღავნდეს და მტკიცებულებად იქცეს, შესაძლოა ზოგჯერ ღალატს ადგილი არც აქვს, ამიტომ ნუ მისცემთ პარტნიორს ეჭვიანობის საბაბს“,- ამბობენ ისინი. რენდალ კესლერი ამერიკული იურიდიულ კომპანია Kessler & Solomiany-ში მუშაობს და ამბობს, რომ კლიენტების მიამიტობით ხშირად გაოცებული რჩება: „ადამიანები ფიქრობენ, რომ არაფერი ემუქრებათ, როცა პირად თემებზე წერენ. მათ ჰგონიათ, რომ ინტერნეტი იმდენად დიდია, რომ მეუღლე მათ კომენტარებს ან ფოტოებს ვერასდროს ნახავს. არადა, გუშინ შესაძლოა ბარში ვინმეს შეხვდით, ვიღაცამ ფოტო გადაიღო, რომელზეც თქვენც მოხვდით და მერე სოციალურ ქსელზე ატვირთა. მორჩა, “ჩავარდით!“-ამბობს ის. საოჯახო ადვოკატების ამერიკული აკადემიის პრეზიდეტი კენ ალტსულიერი კი თვლის, რომ ბევრი ინტერნეტ-მომხმარებელი ვირტუალურ მეგობრებს ისევე დაწვრილებით უყვება პირადი ცხოვრების დეტალებს, როგორც რეალურ მეგობრებს: „ამ დროს უნდა გახსოვდეთ, რომ ის, რასაც თქვენს მეგობარს უყვებით, შეიძლება პირდაპირ თქვენს მეუღლეს გაეგზავნოს“,- ამბობს ის. ასე რომ, ყველაფერი, რასაც სოციალურ ქსელში ან ჩატებში დაწერთ, შესაძლოა, თქვენს წინააღმდეგ სასამართლო პროცესზე იყოს გამოყენებული. სწორედ ასე მოხდა ქართველი წყვილის დათოს და ლელას შემთხვევაშიც:

დათომ ახალმოყვანილი ცოლი შკყპე-ში თავად დაარეგისტრირა. 24 წლის ლელას ნათესავები ჰყავდა უცხოეთში. „მათთან ილაპარაკებო“, - უთხრა ქმარმა. ცოტა ხნის მერე დათომ შეამჩნია, რომ ლელა Skype-ს ძალიან მიეჯაჭვა, მთელ დროს კომპიუტრთან ატარებდა. „დავეჭვდი და გადაწყვიტე ჯაშუშური პროგრამა ჩამეწერა. მეორე დღესვე მივხვდი, რომ ჩემს ცოლს მთელი ეს პერიოდი ვიღაც უცნობთან ეროტიკული მიმოწერა ჰქონდა. შეიძლება მას არც არასდროს შეხვედრია, მაგრამ განქორწინება მაინც მინდა“,- ჰყვებოდა დათო, რომელმაც ჩატის ისტორია სასამართლო პროცესზე მტკიცებულების სახით წარადგინა. ლელას არაფერი უარუყვია..

დიანა ბერეკაშვილი ამბობს, რომ რამდენიმე წლის წინ წყვილები საბაბს ძირითადად მობილურ ტელეფონში ეძებდნენ, „საეჭვო“ SMS-ებს პოულობდნენ და უთანხმოებაც ამ ნიადაგზე იწყებოდა: „ეს დრო უკვე წავიდა..მობილური კავშირი ინტერნეტმა ჩაანაცვლა. ახლა ხსნიან მეუღლეების ფაცებოოკ-ის გვერდს, ნახულობენ ჩატებს და ეს ხდება განქორწინების მოთხოვნის მოტივიც. ვირტუალური სამყაროს გამო განქორწინებულების დინამიკა, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, საქართველოშიც მზარდია“,- აღნიშნავს იგი.

დღესდღეობით ფეისბუქზე 995 მილიონზე მეტი აქტიური მომხმარებელია, მალე მათი რიცხვი მილიარდს მიუახლოვდება. ნახევარზე მეტი სოციალურ ქსელზე ყოველდღიურად შედის, თითოეულ მომხმარებელს საშუალოდ 130 მეგობარი ჰყავს. მომხმარებლების 48% კი ამტკიცებს, რომ რეგულარულად ათვალიერებს ყოფილი პარტნიორების თუ მეუღლეების პროფილს.

ამერიკული სოციოლოგიური სააგენტოს Gallup-ის პროგნოზით, სოციალური ქსელები, რომლებიც სულ უფრო აქტიურად იჭრებიან ადამიანების პირად ცხოვრებაში, 2020 წელს განქორწინებების მთავარ მიზეზად დასახელდებიან. ასე რომ, რამდენიმე წელში შესაძლოა, კიდევ უფრო ხშირად გავიგებთ დიალოგს:

-განქორწინდით..
-რატომ?
-facebook-ის გამო...

ხანძრის შემთხვევები დედოფლისწყაროში

გასულ კვირას, ხანძრის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. პირველი უცნაური შემთხვევა მედიკოსებს გადახდათ. რამდენიმე დღეში კი ხმელი თივით დატვირთულ ტრაქტორს ცეცხლი გაუჩნდა, რის შედეგადაც მეპატრონე დაშავდა.

5 აგვისტოს, შებინდებისას, ქალაქ დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე, მორიგ გამოძახებაზე მიმავალი გადაუდებელი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ავტომობილი აალდა. ცეცხლი მაშინ გაჩნდა, როცა მედიკოსთა ჯგუფს საცხოვრებელი ბინიდან პაციენტი 48 წლის ილია სუხიაშვილი ავტომობილით დედოფლისწყაროს სტაციონარში გადაჰყავდა.

როგორც გაზეთ „შირაქს“ მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლებმა და თვითმხილველებმა აცნობეს, ავტომანქანას ცეცხლი თავდაპირველად ძრავიდან გაუჩნდა.

შემთხვევის ადგილზე დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ბრიგადის მისვლამდე მოსახლეობა ხანძრის ჩაქრობას დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით ცდილობდა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ცეცხლის ლოკალიზება დროულად მოხერხდა. საბედნიეროდ, უნებლიე ინციდენტის შედეგად მედპერსონალსა და მძღოლს დაზიანებები არ მიუღია.

მომხდართან დაკავშირებით შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

მომხდარის მიზეზების გასარკვევად და ოფიციალური კომენტარის მისაღებად „შირაქი“ 113-ზე დარეკვას დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა, თუმცა კომენტარი არც ცენტრალურ და არც ადგილობრივ ფილიალში არ გააკეთეს.

ინტენსიური რეკვის მიუხედავად, ოპერატორთა ახლადამოქმედებული ერთიანი ქსელი ჩვენს სატელეფონო ზარს 30 წუთის განმავლობაში არ პასუხობდა. მოგვიანებით კი თბილისის საოპერატორო პუნქტიდან ხან კახეთის კოორდინატორთან გადაგვამისამართეს, ხან დედოფლისწყაროს კოორდინატორს გვასაუბრეს, ხანაც უშუალოდ დედოფლისწყაროს სამსახურში დარეკვა შემოგვთავაზეს, თუმცა ყველგან აცხადებდნენ, რომ მათ მედიასთან მომხდარის დეტალებზე საუბრის უფლება არ აქვთ.

ამას გარდა, 7 აგვისტოს დედოფლისწყარო-ზემო ქედის ცენტრალურ ავტომაგისტრალზე, შირაქის მინდვრებიდან მომავალ ტრაქტორს ცეცხლი გაუჩნდა. მას მისაბმელი მთლიანად ხმელი თივით ჰქონდა დატვირთული. შემთხვევის შედეგად მოქალაქეც დაზარალდა.

32 წლის ლევან ყველიაშვილი მცირე დამწვრობებით და მსუბუქი დაზიანებებით მაშინვე დედოფლისწყაროს სტაციონარში მოათავსეს. მისი თქმით, ხმელ ბალახს, რომელსაც მინდვრად ზამთრისთვის აგროვებდა, ნაპერწკალი ტრაქტორის გამონაბოლქვიდან მოხვდა და აალდა. მან ცეცხლთან გამკლავება დამოუკიდებლად ვერ შეძლო და დასახმარებლად მაშველები გამოიძახა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ხანძრის შედეგად განადგურდა ტრაქტორის ორივე მისაბმელი და ზამთრისთვის განკუთვნილი თივის მთლიანი ტვირთიც.

მოგვიანებით, ცეცხლი ქარსაფარ ზოლსა და მიმდებარე მიწის ნაკვეთზეც გავრცელდა. ადგილზე მისულმა დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ბრიგადამ ხანძრის ლოკალიზება შეძლო. თუმცა, დაზიანდა მეპატრონის ტექნიკა და ქარსაფარი ზოლის ნაწილი.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო ასევე შს დედოფლისწყაროს საპატრულო პოლიციის ჯგუფი. იმის გამო, რომ ხანძარი გზაზე გაჩნდა, მოძრაობა დროებით შეზღუდული იყო. ამ ფაქტის ირგვლივაც გამოძიება მიმდინარეობს.

ილია მარტყოფლიშვილი

მონატრება

მარუსა ბენაშვილი



10 აგვისტოს შესრულდება 40 დღე სენი გარდაცვალებიდან, საყვარელო დედა. ჩემს თვალებზე ცრემლი არ შრება, გული ძალიან მტკივა. ჩემო ძვირფასო, შრომით დაღლილო დედავ, როგორ დაიტანჯე.სულ თვალწინ მიდგას, სევდიანი თვალებით როგორ გვთხოვდი შველას. ვაი, რომ ვერ გიშველეთ.საშინლად დაგვწყვიტე გულები, ჩემო კეთილო, ალალო, მშრომელო დედავ. როგორ გავძლო უშენოდ ასე მარტომ. არასდროს დაგივიწყებთ, საყვარელო დედა. ახლა გავიგეთ, რა ძნელი ყოფილა დედის გარეშე ყოფნა. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს შენს კეთილ სულს.

შენი შვილები: მერი და ბაბული

შვილები: მარინე (ქეთი) გორაშვილი—რობაქიძე, მაია გორაშვილი—ერსოი, რძალი ნათელა ლეკაშვილი, და თინა მულიგინაშვილი, დისშვილი ჰამლეტ ძიმისტარაშვილი, მული ჟუჟუნა ღორაშვილი, შვილიშვილები: კობა, თამუნა, თეონა გორაშვილები, სოფო რობაქიძე, რძალი მირანდა შაიშმელაშვილი, სიძეები: თარიმან მენთეშაშვილი, ჰუსეინ ერსოი, ალექსანდრე ალადაშვილი, მიხეილ (ბაჩო) თომაძე, რომან ბენაშვილი. შვილთაშვილები: ანი, აკა ალადაშვილები, რუსუდან თომაძე, ქეთა ბენაშვილი იუწყებიან

დარეჯან მულიგინაშვილ—გორაშვილის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა კვირას, 12 აგვისტოს 2 საათზე ქ. დედოფლისწყაროში, ევდოშვილის 1 შეს. ბინა №1.

ნაირა, ციხელო, სპარტაკი, გულნარა, ანგელინა, მანანა, თამილა, ლეილა გორაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მარინე, მაია, კობა გორაშვილებს დედის და ბებიის

დარეჯან მულიგინაშვილის

გარდაცვალების გამო.

რუსუდან, თამაზ, ქრისტინე რობაქიძეები, ვალტერ ჩხეიძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ სოფო რობაქიძეს ბებიის

დარეჯან მულიგინაშვილის

გარდაცვალების გამო.

ანა კიკილაშვილი, გულნაზ ზუბიაშვილი, თამარ ტოკლიკიშვილი, ლია პაპუაშვილი, ციალა გოგილაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გენადი და ვანო შიოლაშვილებს ძმის

შალვა შიოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

ელენე ბაიაშვილი, ნინო და ნოდარ გომელაურები სამძიმარს უცხადებენ გენადი შიოლაშვილს ძმის

შალვას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კლარა ოზაშვილი და გუგული ალადაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ინგა, ირმა, ეთერ, ვანო, გენადი შიოლაშვილებს, მარინე ღვინიაშვილს,

შალვა შიოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

ილია ჯინაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს გენადი და მარინა შიოლაშვილებს ძმის

შალვა შიოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

ია მარტყოფლიშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს გენადი შიოლაშვილს ძმის

შალვას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

შ.პ.ს. გაზეთი „შირაქის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ინგა და ვანო შიოლაშვილების ოჯახს

შალვა შიოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

შ.პ.ს. გაზეთი „შირაქის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გენადი შიოლაშვილს, მარინა ღვინიაშვილს და ასმათ ჭოლიკიშვილს

შალვა შიოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს ზაზა შიოლაშვილს მამის, ინგა შიოლაშვილს ბიძის

შალვა შიოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნინო ფიროსმანაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს გენადი შიოლაშვილს ძმის

შალვას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„მირაჟი“ და „თქვენი შოუ“ - დედოფლისწყაროში

3 აგვისტოს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის იუმორისტებმა, „კომედი გრუპის“ მსახიობებმა და ჯგუფ „მირაჟის“ წევრებმა დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე 2 საათიანი შოუ-პროგრამა წარადგინეს. პროექტ „თქვენი შოუ“-ს მონაწილეები, უკვე მერამდენე დღეა ,წარმოდგენებს სხვადასხვა რაიონებში მართავენ. რეგიონების მოსახლეობისთვის წარმოდგენებზე დასწრება უფასო იყო.

დარბაზში მსხდომთა უმრავლესობა პოლიტიკური შინაარსის ჩაცმულობას ატარებდა, განსაკუთრებით სჭარბობდნენ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები.

როგორც „თქვენი შოუს“ ხელმძღვანელმა გიორგი აფციაურმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ტურნე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება. წამყვანებს ეცვათ მაისური წარწერით — „მე მიყვარს დედოფლისწყარო“.

„დედოფლისწყაროში უკვე მეორედ ვარ. პირველად მეუფე მელქისედეკთან ვიყავი სტუმრად. ახლა კი კონცერტით ჩამოვედით. ძალიან მიხარია, რომ სამინისტროს მხარდაჭერით მოგვეცა საშუალება, მაყურებელთან უშუალო კონტაქტი გვქონდეს. ბევრ ადამიანს მოსწონს ის ადამიანები, რომლებიც ამ პროექტში მონაწილეობენ და მათთან პირადად შეხვედრა ბევრს ძალიან ახარებს. ამჯერად წარმოდგენები სხვა რაიონებში უკვე გავმართეთ და ძალიან მიხარია, რომ „თქვენი შოუ“, რომელიც ცალკე ბრენდია, ასეთ წარმატებულ კონცერტებს მართავს და თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. ასეთი მასშტაბური ტურნე ჩვენთვის პირველია. დავიწყეთ მაისის თვეში, რამდენიმე კონცერტი გვქონდა სამეგრელოში, ახლა კი 11 კონცერტიანი ტურნე დავიწყეთ. ვფიქრობთ, რომ მაყურებელიც ძალიან კმაყოფილია და ეს თითოეულ ჩვენგანს ძალიან გვახარებს,“ — აღნიშნა გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას პრეზიდენტის პაროდისტმა გიორგი აფციაურმა.

დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე სრული ანშლაგი იყო. წარმოდგენას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი მეუღლესთან ერთად დაესწრო. დარბაზში ასევე იმყოფებოდა დედოფლისწყაროს გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გიორგი ყოჩიაშვილი.

დარბაზში განსაკუთრებული ოვაციები გამოიწვია ჯგუფ „მირაჟის“ წევრების სცენაზე გამოჩენამ. მათ სცენაზე ცნობილი ჰიტები, „წყაროზე ჩაგიყვან“, „აყვავებულა არაგვზე დეკა“ „პატარა ქალო“ და „შავი ადესა“ შეასრულეს, რამაც დარბაზში მრავლად შეკრებილი ახალგაზრდობა ძალზე გამოაცოცხლა და ააცეკვა. კონცერტის დასრულების შემდეგ გაზეთ „შირაქთან“ კომენტარი გააკეთა ჯგუფ მირაჟის წევრმაც.

„დედოფლისწყაროში ნამდვილად პირველად ვართ, მანამდე აქ ნამყოფი არ ვიყავით და, გულწრფელად გითხრათ ,აქაურობა ძალიან მოგვეწონა. დიდი მადლობა ყველას ასეთი სითბოსთვის, ამდენი კოცნისთვის და დაფასებისთვის. დამიჯერეთ, სცენიდან იმხელა სითბო მოდიოდა, ძალიან დადებითად დამუხტული მივდივართ ჩვენც და მთელი გუნდიც. დედოფლისწყარო ყოველთვის სასიამოვნოდ გაგვახსენდება. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, რომ მოგეფეროთ და განახლებული პროგრამით ვეწვიოთ დედოფლისწყაროს,“ — აღნიშნეს „მირაჟის“ წევრებმა.

დედოფლისწყაროელი მაყურებელი კონცერტით კმაყოფილი დარჩა და დარბაზს აღფრთოვანებული ტოვებდა. ადგილობრივი ახალგაზრდობა გასართობი შოუების სიმცირეზე საუბრობს და რაიონის ხელმძღვანელობას მოუწოდებს, მსგავსი სახის კონცერტები ხშირად გაიმართოს.

„ძალიან კარგი საღამო იყო, კმაყოფილები ვბრუნდებით. ასეთი ღონისძიებები იშვიათად ტარდება და ძალიან გაგვიხარდა, დღეს თითქოს დედოფლისწყარო გამოცოცხლდა. კარგი იქნება, თუ ასეთი ღონისძიებები ხშირად იქნება. კვირაში ერთხელ თუ არა, თვეში ერთხელ მაინც რომ ჩაატარონ ანალოგიური კონცერტები, ახალგაზრდებს გასართობიც ექნებათ. ბოლო პერიოდში ამდენი ხალხი ამ დარბაზში ნამდვილად არ გვინახავს. ამდენს არც ველოდით, ძალიან კარგი პროგრამა წარადგინეს,“ - აცხადებდნენ დედოფლისწყაროელები.

ასეთი გადაჭედილი და ემოციური დარბაზი, პირადად მე, დედოფლისწყაროში,წლებია ,აღარ მინახავს.

ილია მარტყოფლიშვილი

ფესტივალი „კახეთი 2012“ დაიწყო

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით ტარდება სპორტის ფესტივალი „კახეთი 2012“. შეჯიბრი იმართება სპორტის 16 სახეობაში.დედოფლისწყაროელი სპორტსმენები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფესტივალის მიმდინარეობაში და სპორტის 11 სახეობაში ეჯიბრებიან ქართველ სპორტსმენებს. „ჯერ ტარდება შესარჩევი თამაშები მუნიციპალიტეტის პირველობაში, რის შედეგადაც დგება დედოფლისწყაროს ნაკრები გუნდი, რომელიც რაიონის სახელით მონაწილეობას იღებს კახეთის პირველობაზე.სპორტის სხვადასხვა სახეობაში ტურნირებს კახეთის რაიონები მორიგეობით უმასპინძლებენ, დედოფლისწყაროში მკლავჭიდის ტურნირი ჩატარდება. მონაწილეობა გვაქვს მიღებული ქუჩის კალათბურთში და რაგბში. ის სპორტის სახეობები, რომელშიც მონაწილეობას ვგეგმავთ, ასე გამოიყურება: ფრენბურთი, მინი-ფეხბურთი, ძიუდო, ძალისმიერი სამჭიდი, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი, ჭადრაკი და მძლეოსნობა“- განუცხადა გაზეთ „შირაქს“ დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის სპეციალისტმა თენგიზ გუმაშვილმა.

ფესტივალი „კახეთი 2012“ სექტემბრის ბოლომდე გასტანს. ყველა მონაწილეს გადაეცემა სერთიფიკატი და სამახსოვრო მაისური წარწერით:“აღმოაჩინე შენი კახეთი“, ფესტივალში მონაწილე მუნიციპალიტეტები კი საჩუქრად სპორტულ ინვენტარს მიიღებენ.

ულოცავენ!

თიკო აკადაშვილს!
ლევან ბაღაშვილს!

არბოშიკის საჯარო სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი გილოცავთ ქორწინების დღეს, სიყვარული, სიხარული და ბედნიერება იყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი!

გიორგი აფციაურს!

ჩემო საყვარელო ბიჭუნა, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და სასახელო ვაჟკაცად გაზრდას. უფალი გფარავდეს მუდამ.

შენი ბებია ნელი

მადლიერება

თავი შეუძლოდ ვიგრძენი. მივხვდი, ნევროპათოლოგს ვსაჭიროებდი. არჩევანი მანანა ცხვედიაშვილზე შევაჩერე და მას მივმართე. მისი ქება ბევრჯერ მსმენია, მაგრამ მისმა გულისხმიერებამ, სითბომ და, რაც ყველაზე მთავარია, პროფესიონალიზმმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მისი სიმშვიდე, სინაზე, დამაჯერებელი საუბარი და დადებითი აურა გადამდებია თითოეული პაციენტისთვის.

გულდასმით მომისმინა, ყურადღებით გამსინჯა და დანიშნულებაც მომცა, რომელმაც მალევე გამომიყვანა მდგომარეობიდან. უაღრესად მადლიერი ვარ მისი და მინდა, გაზეთ „შირაქის“ საშუალებით, ხმამაღლა ვუთხრა მადლობა ამ შესანიშნავ ექიმს და ადამიანს. გაიხარეთ და იბედნიერეთ თქვენს ოჯახთან ერთად. მანანა ექიმო, გვეგულებოდეთ ჩვენი ჯანმრთელობის და სიცოცხლის დარაჯად.

პატივისცემით,
ფატი ზურაშვილი.

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება მაღაზიის შენობა დედოფლისწყაროში ყველა საჭირო ინვენტარით. 100 კვადრატული მეტრი სავაჭრო დარბაზით, 200 კვადრატული მეტრი დამხმარე სათავსოებით და ეზოს ფართით. მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ნომრებზე:
599 26 80 28; 557 75 03 01

იყიდება კეთილმოწყობილი ორსართულიანი კერძო ბინა გარაჟით, სათავსოებით. ფასი შეთანხმებით.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ალადაშვილის პირველი შესახვევი N8,
ტელ:595 51 38 15, 595 50 65 46

ამინდი დედოფლისწყარო

	შაბათი 11.08		კვირა 12.08		ორშაბათი 13.08		სამშაბათი 14.08		ოთხშაბათი 15.08		ხუთშაბათი 16.08		პარასკევი 17.08	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	30°	22°	30	25°	27°	24°	27°	23°	26°	24°	26°	24°	25°	22°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

ნომრის რედაქტორი **ინგა შიოლაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K